სს. კოდი: 010250050.35.121.016493
გამოქვეყნების თარიღი: 17.07.2023

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N19

2023 წლის 14 ივლისი

,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2-ე ნაწილების, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1

,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 31.01.2018 წელი; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.121.016295) შეტანილ იქნას შემდეგის სახის ცვლილება:

1. **დადგენილების დანართი N1-ის მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 23ᵃ ქვეპუნქტი:**

„23ᵃ) ზედამხედველობა ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესების დარღვევაზე."

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ალექსანდრე ლილუაშვილი
ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე